„შეთანხმებულია“
სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის

20 მაისის №04-01/40 დადგენილებით

„დამტკიცებულია“
სსიპ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის

30 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით.

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოცალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბათუმი 2013

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

2. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა ,,სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი“.

3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ფაკულტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული და საგანმანათლებლო/სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის სახელოვნებო თეორიული, პედაგოგიური, ჰუმანიტარული და სოციალური განათლების მიღების უზრუნველყოფა;

ბ) სახელოვნებო განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ქვეყნის ინტერესების და საერთაშორისო აკადემიური სტანდრტების გათვალისწინებით;

გ) სახელოვნებო ჰუმანიტარულ და სოციალურ კვლევებში ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;

დ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა;

ე) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

ვ) სახელოვნებო ჰუმანიტარულ, სოციალურ და პედაგოგიურ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების (მმართველი სუბიექტების) მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

3. ფაკულტეტი აერთიანებს საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალისტთა მომზადებას, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებას, უწყვეტი განათლების ორგანიზებას და სამეცნიერო კვლევების განხორციელებას სახელოვნებო ჰუმანიტარულ, სოციალურ და განათლების მეცნიერებათა მიმართულებებით.

4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

5. ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება შედიოდეს საფაკულტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო–სამეცნიერო, სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი.

6. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

7. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.

მუხლი 5. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

ა) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

ბ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ე) უფლებამოსილია დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ვ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ზ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის;

თ)მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ი)სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ფარგლებში.

კ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 8 . ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები:

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება წერილობით.

3. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტი ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

6. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით.

7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საერთო შემადგენლობის 1/2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.

8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

10. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შექმნას სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კონკრეტული საკითხების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. კომისიების შემადგენლობა და მუშაობის წესი მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 10. დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს 4 წლის ვადით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. დეკანად შეიძლება აირჩიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

3. საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით შეიძლება განისაზღვროს დეკანობის კანდიდატისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი V
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით და ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების განხორციელებას.

7. ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე

8. მონაწილეობს სწავლების ახალი პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებაში, კრედიტ სატრანსფერო სისტემის სწორი გამოყენების კონტროლში, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფაში (სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზება.)

9. მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდების, ასევე სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებაში ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგში.

10. ატარებს შეხვედრებს აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალთან სტუდენტების მიერ სწავლების პროცესის შეფასების კითხვარების ანალიზით.

11. აფასებს სტუდენტების ჩართულობას აკადემიურ და შემოქმედებით საქმიანობაში და სამეცნიერო კვლევებში.

12. აფასებს ფაკულტეტის ვებ–გვერდების შესაბამისობას ფაკულტეტის შინაარსსა და უმაღლეს განათლებაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

VI თავი
ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 13. დეპარტამენტი

1. დეპარტამენტი არის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს ერთ ან რამოდენიმე მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამაში დასაქმებულ აკადემიურ და დამხმარე პერსონალს.
2. დეპარტამენტი ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ, შემოქმედებით, სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას და უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტუდენეტების მომზადებას.
3. ფაკულტეტის სასწავლო - აკადემიური სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტი
ბ) ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი
4. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სრული ან ასოცირებული პროფესორი - დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
5. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
ა) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების სასწავლო- სამეცნიერო და შემოქმდებით საქმიანობას, სტუდენტთა სწრებადობის აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალებისა და შეფასების უწყისების დადგენილი წესით წარმოებას და პასუხისმგებელი მათ შენახვაზე;
ბ) ხელმძღვანელობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკუ-ლუმების) და სილაბუსების შემუშავებასა და განხორციელებას;
გ) კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმების მიზნით, მიმართულებებთან ერთად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს საქმიან კავშირებს შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;
დ) უზრუნველყოფს სასწავლო/საწარმოო და წინა სადიპლომო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვას;
ე) ზრუნავს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;
ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შედგენას;
ზ) ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა შემოქმედებით საქმინობაში, სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;
თ) დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს აკადემიური საქმიანობის, სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტებს და საორგანიზაციო საკითხებს;
ი) ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებებს.

6. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე და ყოველი სემესტრის ბოლოს წარუდგენს მათ საქმიანობის ანგარიშს.
7. თავის უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით დეპარტამენტი გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე. სხდომას თავჯდომარეობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის სხდომის მუშაობა აისახება ოქმში, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის სპეციალისტი.
8. დეპარტამენტის სპეციალისტს დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით და დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
9. სპეციალისტი პასუხისმგებელია დეპარტამენტის ხელმძღვანელის და დეკანის წინაშე.

VII თავი
ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 14. ფაკულტეტის პერსონალი

1. ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობებისაგან.
2. ფაკულტეტის პერსონალის უფლებები და ვალდებულებები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით.
3. ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას უნივერსიტეტს წარმოადგენს რექტორი, ხოლო დამხმარე პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებისას - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 15. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორებისაგან.
1. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და შემოქმედებით-მეცნიერულ კვლევებს.
2. აკადემიური პროფესორის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.
4. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები, შრომითი ურთიერთობები, სამსახურში მიღების და სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 16. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი
1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ღია კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობებია:

ა)სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა სრული ან ასოცირებული პროფესორის

აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

მუხლი 17. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეული ან დანიშნული იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის უფლებები და ვალდებულებები, შრომითი ურთიერთობები, სამსახურში მიღების და სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და ამ დებულებით.
4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება: მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
5. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასწავლო-შემოქმედებით, სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
6. საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო, შემოქმედებითი ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმათვის მიზნით.
7. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი პირები.

მუხლი 18. ფაკულტეტის მდივანი

1. ფაკულტეტის მდივანი წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ დამხმარე თანამდებობას, რომელიც ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს.
2. ფაკულტეტის მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. ფაკულტეტის მდივნის მოვალეობაა:
ა) სტუდენტთა რეგისტრაცია;
ბ) სტუდენტთა პირადი საქმის შექმნა (აკინძვა);
გ) სტუდენტის მოწმობის და აკადემიური მოსწრების წიგნაკის მომზადება;
დ) სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება;
ე) შესაბამისი სტრუქტურებისათვის ცხრილების, სიების, უწყისების და სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
ვ) სტუდენტებისათვის ცნობებისა და ინფორმაციის გაცემა;
ზ) საგამოცდო უწყისების მიღება-დამუშავება;
თ) აკადემიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;
ი) კურსდამთავრებულთა პირადი საქმის აკინძვა და არქივში ჩაბარება;
კ) დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა ატესტაციის ორგანიზება, დემოგრაფიული მონაცემების გადამოწმება დიპლომის შესავსებად;

ლ) დიპლომის დანართის შედგენა, რომლის სისწორეზე პასუხისმგებელია ასევე ფაკულტეტის დეკანი;
მ) სხვა საქმიანობის განხორციელება სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე.

4. ფაკულტეტის მდივანი აწარმოებს ან/და მასთან ინახება:
ა) სტუდენტთა პირადი საქმეები;
ბ) ფაკულტეტის მოხსენებითი ბარათები, დეკანის ბრძანებების პროექტები და ბრძანებები;
გ) რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური და წარმომადგენ-ლობითი საბჭოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
დ) ფაკულტეტის საბჭოს წევრთა დემოგრაფიული მონაცემები;
ე) გასული და შემოსული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
ვ) უნივერსიტეტის არქივში საბუთების ჩაბარების აქტების ჟურნალი;
ზ) სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის აღრიცხვის ჟურნალი;
თ) შეფასების უწყისები;
ი) ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და სხვა სახის მეცადინეობების ცხრილები;
კ) ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და სხვა სახის მეცადინეობებზე სტუდენტის დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
ლ) სტუდენტებზე ცნობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;
მ) სტუდენტთა დემოგრაფიული მონაცემების ჟურნალი;
ნ) სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის სარეგისტრაციო აღიცხვის ჟურნალი;
ო) დიპლომის დანართის გაცემის ჟურნალი;

5. ფაკულტეტის მდივანი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის წინაშე;

თავი VIII
სტუდენტი

მუხლი 19. სტუდენტი

1.ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი;

2. სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდების მისთვის მინიჭებული უფლებები;

3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში ან მეცნიერულ კვლევებში;

გ) ამ დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს ფაკულტეტის მატერიალურ–ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ფაკულტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;

ე) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესდების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ზ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახლმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;

ი) მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

კ) აირჩიოს სასწავლო პროგრამა;

ლ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

მ) პერიოდულად მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;

ნ) საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად ისარგებლოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობით;

ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები;

პ) განახორციელოს ამ წესდებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

4. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება;

5.ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის იმგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება;

6. სტუდენტთა ქცევის, დისციპლინური დევნის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწეისთა და ეთიკის კოდექსით.

7. სტუდენტი უფლებამოსილია მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

8. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას და წესდებით სწავლების შესაბამისი საფეხურის დებულებით ან უნივერსიტეტის შინაგანაწესის ან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. სტუდენტი ვალდებულია:

ა) ისწავლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლაც სავალდებულოა.

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებითა და შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.

გ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას.

ე) დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, პატივი სცეს ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანაწესს.

10. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული დანართით.

მუხლი 20. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა

1. ფაკულტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე:
ა) ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
ბ) მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე.
გ) ფაკულტეტის უმაღლესი პროფესიული/დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის სავალდებულოა ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ჩაბარება.

მუხლი 21. სტუდენტური თვითმმართველობა

1.ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და თავისი დებულების მიხედვით.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება–ჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით.

3.სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტების უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ვ) ნიშნავს წევრებს ფაკულტეტზე არსებულ მუდმივ თუ დროებით კომისიებში;

ზ) კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან.

თავი IX
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 22. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლი პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი X
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 23. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა.

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატების შეტანა ხორციელდება დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

სწორია: